დანართი #2

წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

- პოტენციური ბენეფიციარის ან/და უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დოკუმენტი;
- შესასყიდი საქონლის/მომსახურების ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე ან/და ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს სასათბურე მეურნეობის მონტაჟს და შემდეგ ინფორმაციას:
    - მხარეთა რეკვიზიტები;
    - მიწის ნაკვეთის ფართობის ოდენობა, რა ნაწილზეც ხდება სასათბურე მეურნეობის მოწყობა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი;
    - სათბურისთვის საჭირო მაკომპლექტებელი მასალების დასახელება, ერთეულის ფასი, ჯამური ღირებულება, ვალუტა;
    - მონტაჟის დასრულების თარიღი;
    - გადახდის პირობები.
- საბანკო რეკვიზიტები;
- ამონაწერი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოდან მიწის ნაკვეთის საკუთრებაში/თანასაკუთრებაში ფლობის შესახებ;
- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა (2023 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით) პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ჯამური ფართობის შესახებ;

შენიშვნა: პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ბენეფიციარი უნდა ფლობდეს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მის საკუთრებად/თანასაკუთრებად რეგისტრირებულ ჯამურად არაუმეტეს 5 000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ს.

- თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა/ამონაწერი საფინანსო ინსტიტუტიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის დამტკიცების შესახებ;
- სოციალურად დაუცველის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობ(ებ)ის ასლ(ებ)ი. (მათი ყოლის შემთხვევაში).
- სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.